მე-8 კლასი

ალგებრა

1. ავტომობილი 10კმ-ის გავლაზე 15 წთ-ს ხარჯავდა, ახლა ის 3წთ-ში გადის 5კმ-ს. რამდენჯერ გაზრდილა მისი სიჩქარე?
   A. 3-ჯერ B. 1,5-ჯერ C. 2,5-ჯერ

2. რამდენი ამონახსნი აქვს განტოლებას: $\left|7-|3-2x|\right| = 4$?
   A. 4 B. 3 C. 2

3. 237^2 რამდენით მეტია 236^2-ზე?
   A. 235-ით B. 350-ით C. 473-ით

გეომეტრია

4. ტოლფერდა სამკუთხედის რომელიღაც ორი გვერდის ჯამი 12-ის ტოლია, სხვა ორი გვერდის ჯამი 18-ის. რას უდრის ამ სამკუთხედის პერიმეტრი?
   A. 27 B. 21 C. 20

5. მართკუთხა სამკუთხედში ჰიპოტენუზისადმი გავლებული მედიანა ერთ-ერთი კათეტის ტოლია. რას უდრის ამ მართკუთხა სამკუთხედის დიდი მახვილი კუთხის შეფარდება მცირე მახვილ კუთხესთან?
   A. 4 B. 2 C. 1,5

6. ტოლფერდა სამკუთხედში ფერდზე დაშვებული სიმაღლე ამ ფერდის ნახევარია. იპოვეთ კუთხე ამ სიმაღლესა და ფუძეს შორის.
   A. 15° B. 45° C. 30°

ლოგიკა

7. სკოლაში მეხუთე და მეექვსე კლასელ გოგონათა საერთო რაოდენობა ამ სკოლის მეექვსე კლასელ მოსწავლეთა რაოდენობის ტოლია. რომელი მეტია, მეექვსე კლასელ ვაჟთა რაოდენობა, თუ მეხუთე კლასელ გოგონათა რაოდენობა?
   A. ვერ დავადგენთ B. გოგონათა რაოდენობა C. თანაბარია

8. მწკრივში ამოწერილია 34 ნატურალური რიცხვი. ჩამოთვლილებიდან რა შეიძლება იყოს ყველა მათგანის ჯამი, თუ მწკრივში მდგომი ნებისმიერი ათი მომდევნო რიცხვის ჯამი 70-ის ტოლია?
   A. 251 B. 207 C. 289

რიცხვთა თეორია

9. თუ რიცხვს მივუმატებთ მის მარტივ გამყოფს, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ პასუხს ვერ მივიღებთ?
   A. 48 B. 59 C. 75

10. რიცხვ 579572-ში სულ მცირე რამდენი ციფრი უნდა წავშალოთ, რომ დარჩენილი რიცხვი გაიყოს 9-ზე?
    A. 1 B. 2 C. 3